საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3973
01/08/2022

3973-21-2-202208011416

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3010 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩოხატაურის სოფ. ბუკისციხეში მდ. სუფსას წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემული მდ. სუფსას ჰიდროლოგიური ანგარიში შესრულებულია არასათანადოდ. გამოყენებულ ფორმულებში წარმოდგენილი არ არის სიდიდეების რიცხვითი მნიშვნელობები;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ მდინარე სუფსას წყლის მაქსიმალური ხარჯები საპროექტო უბანზე შეადგენს 1180 $მ^3$ /წმ-ში, რაც მოითხოვს განმარტებას და დამატებით დასაბუთებას;
- დოკუმენტში მოცემული გრაფიკული ნახაზის თანახმად, შერჩეული ლეიბის სიგანე ვერ უზრუნველყოფს სიღრმითი წარეცხვისგან დაცვას წარეცხვის შესაბამისი მარაგების გათვალისწინებით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს განმარტებას და დამატებით დასაბუთებას;
- დოკუმენტის თანახმად დამბის მომიჯნავე უბნებზე გათვალისწინებულია ნაპირების დაცვა გაბიონით. საჭიროა დამატებითი დასაბუთება, თუ რამდენად შესაძლებელია პკ 0+80-დან პკ 2+20-მდე და პკ 3+80-დან პკ 4+60-მდე უბნებზე ნაპირების დაცვა ნაყარი დამბით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო